ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს მთავრობის მიერ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების ანალიზი

ანალიზზე მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი
გიორგი კლდიაშვილი
ნატალია ვარაზი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა. გრიბოედოვის ქ. № 3
საქართველო, თბილისი, 0108
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi.ge

შესავალი

2016 წლის 11 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ რიგით მესამე, 2016-2017 წლების, სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, „ღია მმართველობა საქართველოს“ სამდივნოს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის) მიერ „ღია მმართველობა საქართველოს“ ფორუმის ფარგლებშია შემუშავებული და მასში 24 უწყების 24 ვალდებულებაა გაერთიანებული. აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, საქართველოს მასშტაბით 19 შეხვედრა გაიმართა.

საჯარო კონსულტაციების ტექნიკურ მხარდაჭერას აშშ-ს განვითარების სააგენტოს „კარგი მმართველობის ინიციატივა“ (USAID Good Governance Initiative in Georgia) ახორციელებდა, ხოლო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), როგორც ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის თანათავმჯდომარე ორგანიზაცია, აქტიურად იყო ჩართული სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული კონსულტაციების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესში.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით საკონსულტაციო შეხვედრები ისეთ ქალაქებში ჩატარდა, როგორიცაა ბორჯომი, ბათუმი, სამტრედია და სხვა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ახლად დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში შესული რამდენიმე ვალდებულება სწორედ რომ საჯარო კონსულტაციების შედეგად იქნა შემუშავებული. მათ შორისაა მუნიციპალიტეტების ვალდებულებები ბიუჯეტის შემუშავების ჩართულობითი პროცესის შესახებ, ადგილობრივ თვითმმართველობაში პროცესების ღიაობისა და იუსტიციის სახლის შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის ადაპტირების შესახებ. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ რეგულაციების შესაბამისად, OGP-ის საქართველოს სამდივნომ რეკომენდაციები რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისაგან, მათ შორის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისაგან“ (IDFI), მიიღო.

ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა

მესამე სამოქმედო გეგმის ვალდებულებებზე საუბრისას, საყურადღებოა, რომ აღნიშნული გეგმის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი უწყებების რაოდენობა 17-დან 24-მდე გაიზარდა. სახელდობრ, IDFI-ის რეკომენდაციების შესაბამისად, „ღია მმართველობა საქართველოს“ ფორუმს დაემატა ისეთი უწყებები, როგორიცაა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა და სსიპ „კონკურენციის სააგენტო“.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის სტრუქტურულ მხარეზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ ის 5 გამოწვევას მოიცავს და ესენია:

- გამოწვევა I: საჯარო რესურსების გაუმჯობესება;
- გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება;
- გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა;
- გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- გამოწვევა V: კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება.

ამასთან, თითოეული გამოწვევა სხვადასხვა სახის და რაოდენობის ვალდებულებებს აერთიანებს:

- **გამოწვევა I:** საჯარო რესურსების გაუმჯობესება: **6 ვალდებულება** (მათ შორის, ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება და სხვა);
- **გამოწვევა II:** საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება: **7 ვალდებულება** (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა, ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება და სხვა);
- **გამოწვევა III:** საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; **2 ვალდებულება** (საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის);
- **გამოწვევა IV:** უსაფრთხო გარემოს შექმნა: **3 ვალდებულება** (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება, „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის - მობილური აპლიკაციის დანერგვა და სხვა);
- **გამოწვევა V:** კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება: **3 ვალდებულება** (ეკონომიკური აგენტებისათვის გზამკვლევის შემუშავება, კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სხვა).

საყურადღებოა, რომ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული ვალდებულებები ცალკე თავად არის მოცემული. სამოქმედო გეგმის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებისა (გამოწვევა II) და საჯარო რესურსების უკეთესი მართვით (გამოწვევა III) გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაცია ევალებათ.

2016-2017 წლებში შესასრულებელი ვალდებულებები

გამოწვევა 1 - საჯარო სერვისების გაუმჯობესება

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებათაგან ერთ-ერთს **საჯარო სერვისების გაუმჯობესება** წარმოადგენს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან დაკავშირებით იუსტიციის სახლების სერვისების ადაპტირებას მოიცავს.

2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, თბილისის იუსტიციის სახლის მომსახურების დარბაზში უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის სპეციალური ნავიგაციის სისტემა უნდა შეიქმნას, ხოლო ბათუმის და ქუთაისის იუსტიციის სახლებში თანამშრომლების შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან კომუნიკაციის ტრეინინგები იგეგმება. წინამდებარე ვალდებულების იმპლემენტაცია 2017 წლის დეკემბერს უნდა დასრულდეს.

2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემდეგ ვალდებულებას **ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის (E-Health) დანერგვა წარმოადგენს.**



აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაცია უკვე დაწყებულია და მას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში ჯანდაცვის სამინისტროს ჩართულობა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც მოცემულ უწყებას 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მონაწილეობა არ მიუღია.

დღესდღეობით, ჯანმრთელობის ერთიან საინფორმაციო პორტალზე, დაინტერესებულ პირს შეუძლია ისეთი ინფორმაციის მოძიება, როგორიცაა ინფორმაცია სისხლის ბანკის, საწოლთა ფონდის, სამედიცინო პერსონალის, სამედიცინო აღჭურვილობის შესახებ და სხვა. საინფორმაციო პორტალი ჯერ-ჯერობით შემუშავების პროცესშია, რაც გულისხმობს იმას, რომ გარკვეული ინფორმაცია მასზე სრულფასოვნად არ არის განთავსებული, ხოლო ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა ელექტრონული სამედიცინო ისტორია, ელექტრონული სამედიცინო სერვისები, დაბადება-გარდაცვალების მოდული კვლავ არ არის

ხელმისაწვდომი და შემუშავების/დაგეგმვის ფაზაში იმყოფება. პორტალის დანერგვა, 2017 წლის დეკემბერში უნდა დასრულდეს.

2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვას.** დღეის მდგომარეობით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის ლიცენზიების გაცემა მხოლოდ ნაწილობრივ არის ელექტრონიზებული

და ლიცენზიანტს ელექტრონულად მხოლოდ აუქციონში მონაწილეობა შეუძლია.

ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვის შედეგად, გარემოს ეროვნული სააგენტოს მომსახურებების გაწევა სრულიად ელექტრონიზებული გახდება და მომხმარებელს ლიცენზირების სფეროში არსებულ ნებისმიერ საჯარო ინფორმაციაზე (სტატისტიკა, რესურსების ონლაინ რუკა, გზამკვლევი და ა.შ.) გამარტივებული წვდომა ექნება.



2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით აგრეთვე განსაზღვრულია **ინოვაციების ეკოსისტემის შექმნის ვალდებულება**, რომელსაც საფუძვლად უდევს მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული კვლევა.

აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებას საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოადგენს. ამ მიზნით 2017 წლის ბოლოსათვის იგეგმება 2 ტექნოპარკისა და 13 ინოვაციის ცენტრის გახსნა.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება **საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებას** ეთმობა. პირველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებით შესაძლებელი გახდა *საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება.* ამ რეფორმით საქართველო 7 ფინალისტ ქვეყანას შორის მოხვდა ლონდონში OGP-ის გლობალურ სამიტზე გამართულ კონკურსზე - *„Bright Spots”.*

გამოწვევა 2 - საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება

რაც შეეხება 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას, მის ფარგლებში **ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური კანონის** შემუშავება იგეგმება. აღნიშნული კანონის შემუშავების მიზნით, შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს, ანტიკორუფციული საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა, მათ შორის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) და „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენლებით და დამოუკიდებელი ექსპერტებით არის დაკომპლექტებული. ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური კანონის შემუშავება და პარლამენტისათვის წარდგენა 2017 წლის დეკემბრისათვის იგეგმება. საყურადღებოა, რომ ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური კანონის შემუშავება თავდაპირველად 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ გამოწვევას წარმოადგენდა, თუმცა უცნობი მიზეზებიდან გამომდინარე, ეს ვალდებულება არ შესრულებულა. შესაბამისად, მისი 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში გადატანა იმედს გვიტოვებს, რომ ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური კანონის შემუშავების ვალდებულება ამჯერად ბოლომდე იქნება შესრულებული.

2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით ასევე განსაზღვრულია **სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება**. აღნიშნული სისტემის მეშვეობით შესაძლებელი იქნება მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების დროულად განსაზღვრა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, რაც პოლიტიკის პროცესის წარმართვას და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავებას უფრო ეფექტურს გახდის.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2017 წლის დასაწყისიდან საჯარო სამსახურის ბიურო განახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს. აღნიშნული 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული **თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვის** ვალდებულებიდან გამომდინარეობს.

ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად, დამოუკიდებელი კომისიის მიერ, ცხადი და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული, ასევე, ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იდენტიფიცირებული დეკლარაციების მიმართ. ვალდებულება თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებასა და კორუფციულ სამართალდარღვევათა პრევენციას ისახავს მიზნად.

სამოქმედო გეგმაში ასევე გათვალისწინებულია **სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დანერგვის ვალდებულება**. რომელმაც უნდა გაუმჯობესოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ეფექტიანობა. ვალდებულების განხორციელების მიზნით, შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც, სასამართლოებში გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის ერთიანი სტანდარტების შემუშავება ევალება. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დანერგვის დასრულება 2017 წლის დეკემბრისათვის იგეგმება.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, 2017 წლის მარტისათვის შემუშავდება **რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა**.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ყოველწლიურად დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრებს განკარგავს, აღნიშნული ინიციატივა, კორუფციის პრევენციის და გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების ამაღლების კუთხით, განსაკუთრებული აქტუალურობის მატარებელია. სტრატეგიულ დოკუმენტში ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის გაიწერება კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის სტანდარტები, ხოლო ამ სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავდება სამოქმედო გეგმა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჩართვის ინიციატივით „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) გამოვიდა.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) კიდევ ერთი რეკომენდაცია იყო 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ჩართვა.

სამოქმედო გეგმით სამინისტრო იღებს **მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონულ საქმისწარმოებაზე სრულად გადასვლის ვალდებულებას**. დღეს არსებული ელექტრონული ბაზა, რომელიც დიდ ინფორმაციას მოიცავს, ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა სრულყოფილ დამუშავებას და არ შეიცავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირად საქმეებში შემავალ ყველა მასალას, შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონულ საქმისწარმოებაზე სრულად გადასვლა 2017 წლის დეკემბერისათვის იგეგმება.

საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების კუთხით, ასევე საყურადღებოა, რომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების იმპლემენტაციის პროცესში მონაწილეობას აგრეთვე მიიღებენ ადგილობრივი ხელისუფლებები.
2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით **ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე (www.zugdidi.gov.ge) პეტიციების ელექტრონული პორტალის და „ზუგდიდი-INFO“-ს დანერგვის ვალდებულება** განისაზღვრა.
აღნიშნული ვალდებულება გაზრდის მოსახლეობის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ჩართულობას და მათ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოებში პეტიციების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობას მისცემს.

სამოქმედო გეგმაში მუნიციპალიტეტების ჩართულობაზე საუბრისას, აგრეთვე აღსანიშნავია **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომების გამჭვირვალობის ვალდებულება**.
აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომების პირდაპირ ტრანსლირებას და სრული ვიდეო ჩანაწერების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებას უზრუნველყოფს.

საკრებულოს სხდომები პირდაპირ გადაიცემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე: http://ozurgeti.org.ge/?page_id=8925, აგრეთვე https://livestream.com/-ზე; სხდომების სრული ვიდეოჩანაწერების განთავსება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე http://ozurgeti.org.ge/?page_id=7693 მოხდება. საჯარო რესურსების უკეთესი მართვის გამოწვევის კუთხით, აგრეთვე მნიშვნელოვანია 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში **ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნის ვალდებულება.** აღნიშნული ვალდებულება, ღია მმართველობა საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტების მიერ ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ შექმნასა და შესაბამის ვებგვერდებზე დამატებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, შემუშავდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.

გამოწვევა 3 - საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

საჯარო დაწესებულებების მიერ რესურსების უკეთესი მართვის განხორციელების მიზნით, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში გაწერილ იქნა ისეთი ვალდებულება, როგორიცაა **საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა**. აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციის მიზნით, იგეგმება ICT მექანიზმის, ვებპლატფორმის დანერგვა, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის მიგნებების, ვებპლატფორმაზე გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ. ინფორმაციის მარტივად აღსაქმელად გამოყენებული იქნება ვიზუალიზაციის სხვადასხვა მეთოდი.

საყურადღებოა, რომ 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმით ასევე განისაზღვრა **საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისათვის ელექტრონული ინოვაციების დანერგვის ვალდებულება,** რაც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ საჯარო სერვისების გაუმჯობესების გამოწვევას ეხმაურება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს.



ეს ვალდებულება **სამ კომპონენტად** იქნა დაყოფილი. **პირველი კომპონენტის** თანახმად, დაინტერესებული პირების მიერ კონკრეტული ტენდერის თუ შესყიდვის ობიექტის შესახებ ინფორმაციის თავმოყრისა და ანალიზის განხორციელების გამარტივების მიზნით, ინფორმაცია ერთ სივრცეში უნდა იყოს თავმოყრილი.

მეორე კომპონენტს სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაერთიანება წარმოადგენს. წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან სისტემაში (e-Plan) არეგისტრირებს და დაგეგმილი ცვლილების თანახმად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცემა შესაძლებლობა გაეცნოს წლიურ გეგმასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მესამე კომპონენტს შესყიდვის ობიექტებისა და მათი მიმწოდებლების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული კატალოგის (e-Market) შექმნა წარმოადგენს. ამ ცვლილების შედეგად, ობიექტის შესყიდვით დაინტერესებულ ორგანიზაციას შესაძლებლობა მიეცემა უფრო ეფექტურად დაგეგმოს შესყიდვები და მოკლე დროში მიიღოს ინფორმაცია ბაზარზე არსებული ფასების, ობიექტის მიმწოდებლისა და შესყიდვის პირობების შესახებ.

გამოწვევა 4 - უსაფრთხო გარემოს შექმნა

2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით აგრეთვე განსაზღვრულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება**, რომელიც გაითვალისწინებს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) მოთხოვნებს და უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით ასევე განისაზღვრა **112-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის - მობილური აპლიკაციის დანერგვის ვალდებულება**.

„112“-თან დაკავშირების ალტერნატიული საკომუნიკაციო არხის, მობილური აპლიკაციის დანერგვის შედეგად, მომხმარებელს გაუადვილდება 112-თან კავშირის დამყარება, ხოლო ამ უკანასკნელს მომხმარებლის მისამართის განსაზღვრისათვის ნაკლები დრო დასჭირდება, რაც გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცესის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

ამასთან, სამოქმედო გეგმაში **დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოს განვითარების ვალდებულებაა** გაწერილი. 2016 წლიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო პროექტ „ადგილობრივი საბჭო“-ს განხორციელება, რომლის მიზანია შესაბამის უწყებებს შორის დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინაცია და ახალი ღონისძიებების წამოწყება. მოცემულ ეტაპზე დანაშაულის პრევენციით რამდენიმე სახელმწიფო უწყებაა დაკავებული. სხვადასხვა უწყების მიერ ერთი და იმავე შინაარსის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია მათ შორის კოორდინაციის გაზრდა და სწორედ ამ მიზნით 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში ადგილობრივი საბჭოს განვითარების ვალდებულება განისაზღვრა, რომელიც დანაშაულის პრევენციის მიზნით არის შექმნილი.

გამოწვევა 5 - კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესების გამოწვევაზე საუბრისას, აღსანიშნავია 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული **კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება**.

ვალდებულების მიზანია საწარმოების მიერ ანგარიშის წარმოდგენის სპეციალური ელექტრონული პლატფორმის შექმნა, რაც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას საშუალებას მისცემს შექმნას სანდო და სრულყოფილი მონაცემთა ბაზა, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის მრავალმხრივი ანალიზი, თვალყური ადევნოს საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლების დინამიკას, განახორციელოს სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგი და უმოკლეს დროში უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის სისტემატიზებული ინფორმაციის მიწოდება. ელექტრონული ფორმით ანგარიშის წარმოდგენის სისტემის დანერგვა აგრეთვე ხელს შეუწყობს როგორც კომპანიების, ისე კომისიის

ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამოქმედო გეგმაში ჩართვა და მის რეგულირებადი საწარმოების გამჭვირვალობის გაზრდის ვალდებულება „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ შემუშავებულ რეკომენდაციათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია კორპორაციული გამჭვირვალობის ვალდებულების სრულფასოვნად განხორციელებისათვის.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა შემდეგ ვალდებულებებს აერთიანებს:

გამოწვევა		ვალდებულება	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების დრო
1	**გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება**	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება	სსიპ - იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2016-2017 წლები
2	**გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება**	ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვა	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2016-2017 წლები
3	**გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება**	ლიცენზირების ელექტრონული სისტემის დანერგვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	2016-2017 წლები
4	**გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება**	ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალის შექმნა	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	2016-2017 წლები
5	**გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება**	ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა	სსიპ - ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2016-2017 წლები
6	**გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება**	სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი - მომხმარებლის მოდული	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2016-2017 წლები
7	**გამოწვევა II: საჯარო**	ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;	2016-2017 წლები

	სექტორში კეთილსინდისი ერების ამაღლება		ანტიკორუფციული საბჭო	
8	**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისი ერების ამაღლება**	სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებ აქტების მონიტორინგისა და შეფასების სის შემუშავება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	2016-2017 წლები
9	**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისი ერების ამაღლება**	თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლა რაციების მონიტორინგის სისტემის დანე რგვა	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	2016-2017 წლები
10	**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისი ერების ამაღლება**	სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა	საქართველოს უზენაესი სასამართლო	2016-2017 წლები
11	**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისი ერების ამაღლება**	რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2016-2017 წლები
12	**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისი ერების ამაღლება**	მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად გადასვლა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2016-2017 წლები
13	**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისი ერების ამაღლება**	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით	საქართველოს უზენაესი სასამართლო	2016-2017 წლები
14	**გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა**	საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	2016-2017 წლები
15	**გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა**	ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	2016-2017 წლები
16	**გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა**	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	2016-2017 წლები
17	**გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა**	„112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის - მობილური აპლიკაციის დანერგვა	შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - „112“	2016-2017 წლები
18	**გამოწვევა IV: უსაფრთხო**	დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოების	საქართველოს მთავარი პროკურატურა	2016-2017 წლები

	გარემოს შექმნა	განვითარება		
19	**გამოწვევა V: კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება**	ეკონომიკური აგენტებისათვის გზამკვლევის შემუშავება	სსიპ - კონკურენციის სააგენტო	2016-2017 წლები
20	**გამოწვევა V: კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება**	კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	2016-2017 წლები
21	**გამოწვევა V: კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება**	კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	2016-2017 წლები
22	**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება**	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციების ელექტრონულად წარდგენის პორტალისა და „ზუგდიდი-INFO" დანერგვა	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2016-2017 წლები
23	**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება**	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2016-2017 წლები
24	**გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა**	ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2016-2017 წლები



როგორც ცნობილია, საქართველო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) მმართველი კომიტეტის წევრად 2013 წლის აგვისტოში აირჩიეს. 2016 წლის 4 მაისს სამხრეთ აფრიკის ქალაქ კეიპტაუნში OGP-ის მმართველი კომიტეტის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით - 22 წევრიდან საქართველოს თანათავმჯდომარეობას 18-მა დაუჭირა მხარი. თანათავმჯდომარეობის კანდიდატ ქვეყნებად საქართველო, ხორვატია და რუმინეთი იყვნენ წარდგენილნი. დღესდღეობით მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე საფრანგეთია, OGP-ის მმართველ კომიტეტს დღემდე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ხელმძღვანელობდა. ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ საფრანგეთი, რომელიც თანათავმჯდომარე ქვეყანა იყო, კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, ხოლო მის თანათავმჯდომარე ქვეყნად საქართველო იქნა არჩეული. ერთი წლის შემდეგ, საფრანგეთის უფლებამოსილების ამოწურვისთანავე, საქართველო OGP-ის მმართველი კომიტეტის სრულუფლებიანი თავმჯდომარის პოსტს დაიკავებს.

OGP-ის მმართველი კომიტეტი (Steering Committee) „ღია მმართველობის პარტნიორობის“ მმართველ ორგანოს წარმოადგენს. კომიტეტი საერთაშორისო დონეზე აკონტროლებს და ხელმძღვანელობს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას.

მმართველი კომიტეტი შედგება მთავრობების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. კომიტეტი თავის საქმიანობას ქვეკომიტეტების მეშვეობით ახორციელებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ, საქართველო OGP-ის თანათავმჯდომარედ 2 წლის ვადით იქნა არჩეული და 2017 წლის ოქტომბრიდან, 1 წლის ვადით, საქართველო პარტნიორობის თავმჯდომარე გახდება. შესაბამისად, საქართველო, როგორც OGP-ს წამყვანი ქვეყანა, საკუთარი სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესრულების ხარისხითა და მასშტაბურობით, სხვა წევრი ქვეყნებისათვის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.